

სდასუ

საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტი



საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის დებულება

## **მუხლი 1. ზოგადი დებულებანი**

1. საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტის (შემდგომში- „უნივერსიტეტი“) საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური (შემდგომში-„სამსახური“) არის უნივერსიტეტის სტრუქტურული ერთეული.
2. სამსახური ფუნქციონირებს უნივერსიტეტის სხვა სტრუქტურულ ერთეულებთან კავშირში და თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს საქართველოს კანონმდებლობით, უნივერსიტეტის დებულებითა და წინამდებარე დებულებით.
3. სამსახური თავისი კომპეტენციის ფარგლებში, ანგარიშვალდებულია უნივერსიტეტის რექტორის და აკადემიური საბჭოს წინაშე, ასრულებს კანონის საფუძველზე რექტორის მიერ დაკისრებულ მოვალეობებს.

## **მუხლი 2. სამსახურის მიზანი, ძირითადი ამოცანები და ფუნქციები**

1. სამსახურის მიზანია უნივერსიტეტის მისიის, მიზნის, სამოქმედო და სტრატეგიული განვითარების გეგმების, ასევე უნივერსიტეტის მიმდინარე პროცესების შესახებ ინფორმაციის მიწოდება საუნივერსიტეტო საზოგადოებისათვისა და დაინტერესებულ პირთათვის;
2. სამსახურის ამოცანაა:
  - ა) უზრუნველყოს უნივერსიტეტის საქმიანობის პოპულარიზაცია;
  - ბ) უზრუნველყოს სასწავლო-სამეცნიერო პროცესების, დაგეგმილი ან განხორციელებული ღონისძიებების საჯაროობა;
  - გ) უზრუნველყოს უნივერსიტეტის რექტორისა და აკადემიური საბჭოს გადაწყვეტილებების, ბრძანებებისა და სხვა ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების ხელმისაწვდომობა დაინტერესებულ პირთათვის.
3. სამსახურის ფუნქცია
  - ა) უნივერსიტეტის საზოგადოებასთან ურთიერთობის პოლიტიკის შემუშავება, მისი რეალიზაციის ეფექტიანი ფორმების, მექანიზმებისა და საშუალებების გამოყენება;
  - ბ) უნივერსიტეტის სარეკლამო პოლიტიკის შემუშავება და მართვა;
  - გ) საზოგადოებაში უნივერსიტეტის სახელის ცნობადობის ამაღლების უზრუნველყოფა;
  - დ) უნივერსიტეტის ვებ-გვერდის სისტემატური განახლება;
  - ე) უნივერსიტეტის სტრუქტურულ ერთეულებს შორის ინფორმაციის ოპერატიული გავრცელება;
  - ვ) უნივერსიტეტის მისიის, სამოქმედო და სტრატეგიული განვითარების გეგმების, ასევე უნივერსიტეტში განხორციელებული აქტივობებისა და მიმდინარე პროცესების შესახებ პრეზენტაციების, პრეს-კონფერენციების ორგანიზება-ჩატარება;
  - ზ) უნივერსიტეტის საქმიანობის შესახებ ბეჭდური და ელექტრონული სარეკლამო მასალების მომზადება;

თ) სტუდენტების, მშობლების, საშუალო სკოლის დირექტორების, კურსდამთავრებულთა და აბიტურიენტთა შეხვედრების ორგანიზება უნივერსიტეტთან მჭიდრო კავშირის დამყარების მიზნით;

ი) სარეკლამო და საცნობარო კამპანიის დაგეგმვა-განხორციელება ქართველი და უცხოელი სტუდენტების მოზიდვის მიზნით.

### **მუხლი 3. სამსახურის სტრუქტურა**

1. სამსახური არის უნივერსიტეტის სტრუქტურული ერთეული, მას ხელმძღვანელობს სამსახურის უფროსი, რომელიც ანგარიშვალდებულია უნივერსიტეტის რექტორის წინაშე;

2. სამსახურის უფროსს თანამდებობაზე ნიშნავს და ათავისუფლებს რექტორი.

3. სამსახურის უფროსი:

ა) ხელმძღვანელობს და წარმართავს სამსახურის საქმიანობას;

ბ) საუნივერსიტეტო ცხოვრების ამსახველი სრულყოფილი ინფორმაციის გავრცელების მიზნით, გეგმავს და ორგანიზებას უკეთებს პრესკონფერენციებს, ავრცელებს პრეს-რელიზებს და აწვდის ინფორმაციას დაინტერესებულ პირებს;

გ) გეგმავს გრძელვადიან მედიაკამპანიებს და მასმედიასთან კომუნიკაციის სტრატეგიას;

დ) ურთიერთობას ამყარებს სახელისუფლო სტრუქტურებთან, საგანმანათლებლო/სამეცნიერო დაწესებულებებთან, არასამთავრობო ორგანიზაციებთან და სხვადასხვა საზოგადოებრივ ორგანიზაციასთან;

ე) უზრუნველყოფს უნივერსიტეტის შესახებ ინფორმაციის ხელმისაწვდომობას;

ვ) უზრუნველყოფს უნივერსიტეტში მიმდინარე მოვლენების შესახებ საზოგადოებისათვის ინფორმაციის მიწოდებას მასმედიის საშუალებებით;

ზ) უზრუნველყოფს პრესრელიზების, საინფორმაციო მასალების მომზადებას;

თ) სახავს მასმედიასთან თანამშრომლობის ახალ გზებს;

ი) ახორციელებს სატელევიზიო სიუჟეტებისა და პრესის მონიტორინგს.

### **მუხლი 4. სამსახურის რეორგანიზაცია და ლიკვიდაცია**

სამსახურის რეორგანიზაცია და ლიკვიდაცია ხორციელდება აკადემიური საბჭოს გადაწყვეტილების საფუძველზე რექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციული-სამართლებრივი აქტით.

### **მუხლი 5. დებულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის წესი**

დებულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა ხორციელდება სამსახურის უფროსის მიერ მომზადებული ცვლილება-დამატებების პროექტის აკადემიური საბჭოს მიერ დამტკიცების გზით.